ოქმი:**ო05. 3725024001**

თარიღი:**24/01/2025**

ოქმი N 1
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2025 წელი, 24 იანვარი
ქ. ოზურგეთი

12.30 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ე. გორდელაძე, ნ. მახარაძე, ბ.კილაძე, ხ. ცერცვაძე, ნ.ქარჩავა, დ. მჟავანაძე, ნ. ნადირაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხსენებელი პ. კიღურაძე

   თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
   მომხსენებელი პ. კიღურაძე
   თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.
   მომხსენებელი პ. კიღურაძე
   თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხი, აღნიშნა, რომ დადგენილებაში ცვლილება განპირობებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით-კერძოდ საჯარო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი და მისი მოადგილე ინიშნებიან ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს

და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის მე-2-ე საკითხი, აღნიშნა, რომ პროექტი შემოტანილია მთავრობის შესაბამისი დადგენილებიდან და ეხება საჯარო სამსახურებში შრომის ანაზღაურების 10% ზრდას. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მე-3 საკითხი, ვრცლად კი ილაპარაკა თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ასეთი დადგენილების პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მტკიცდება ყოველი წლის პირველ თებერვლამდე, მუნიციპალიტეტის მერიამ პროექტი წარმოადგინა კანონმდებლობის შესაბამისად,ამჟამად გათვალისწინებულია ნორმატიული ფასების უცვლელად დატოვება. კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგით წარმოდგენილი სამივე საკითხი განხილვისა და დამტკიცების მიზნით წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი